№ 22. იანვრის 29, სამშაბათი. 1866—1885 იანვრის 29, სამშაბათი. № 22.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 [illegible] სტრიქონებისა ითვლება მათგან დაბეჭდილის [illegible] კალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში—„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალადრო თუთაევთან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

### ქართული თეატრი

ოთხშაბათს, იანვრის 30-ს.

ბენეფისი კნ. ბ. ა. ავალოვისა

ქართულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ანუკა ბატონიშვილი

დრამა 5 მოქმედებად გადმოკეთებული დ. მესხისა.

II

ორი სცენა შექსპირის ტრაგედიიდან

მაკბეტი

(შეთქმა და მკვლელობა მეფისა)

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისი, იანვრის 29-ს.

როგორც ყოველს მოზარდ ბავშვს საზრდო ეჭირვება თავის სხეულის ასაგებად, ისე ყოველ მოზარდ ქალაქს ეჭირვება ფული და კრედიტი თავის გასამშვენიერებლად და გასადიდებლად. ერთი ამ მოზარდ ქალაქთაგანი ბათუმია და მერე ისეთი მოზარდი, რომელზედაც სამართლიანად ითქმის, ვინც წლით იზრდება, ეს დღით იზრდებაო. რაც ომი გათავდა, მას აქეთ ეს ქალაქი ისე გაიზარდა და გაივსო, რომ ძველი ნაცნობი ვეღარც კი იცნობს მას, მაგრამ ამ უეცარ ზრდასთან ერთად უეცრადვე დაეტყო საზრდოს უქონლობა, რომელიც უეჭველია, დიდი თუ ნაკლები ხნით, ამ ზრდას ხელს შეუშლის და შეაფერხებს.

პირველ ხანებში ბათუმს არ ეტყობოდა ის უფულობა, რომელიც ეხლა თვალ-საჩინოდ დასტყობია. ომის ფულებით ხუთი-ექვსის წლის განმავლობაში კოჭაობდენ ბათუმელები და იშენებდენ უზარმაზარ სასახლეებს. შინაურ მასალას რომ აღარ ჰკადრულობდენ, მარსელსაც კი მიჰმართეს და იქიდამ ეზიდებოდენ დაჰვრეტილ აგურებს. მაგრამ ეხლა ომის დროს აღებული ფული სულ შემოეხარჯათ, უძრავ ქონებად აქციეს იგი, და თუმცა ევროპიულ გემოვნებაზედ აშენებული სასახლეები 12—15% ნაკლებს არ იძლევიან, მაგრამ ბათუმელებს მოსპობილი აქვთ ღონისძიება ეს თავიანთი უძრავი ქონება, გაჭირების დროს, ფულად აქციონ, გაჰყიდონ, ან დააგირაონ, რადგან ყიდვისათვის, ან დაგირავებისათვის ფულია საჭირო და ფული კი ყველას უძრავ ქონებაში და მიწებში აქვთ დაბანდებული, იმ მიწებში, რომელნიც იქნება ათას თუმნობითა ღირდენ, მაგრამ შემოსავალს კი ათასს გროშსაც არ იძლევიან.

ამ საზოგადო გაჭირებას ზედ ერთვის გაჭირება ადგილობრივ მცხოვრებთა. რომელთაც დღესაც გარკვევით არ იციან, რა არის მათი და რა სხვისა. ის დოკუმენტები, რომლების ძალითაც ისინი ოსმალების დროს მამულებსა ჰფლობდენ, ზოგი არ იქმნა შეწყნარებული და ზოგი მხოლოდ ნახევრად შეიწყნარეს, ესე იგი, მათ პატრონთ ეძლევათ მარტო ნახევარი და ზოგან ნაკლებიც იმ მიწისა, რომელიც მათ თავიანთ „ქაღალდებში“ უწერიათ.

ამ გვარ მდგომარეობაშია ეხლა ის ქალაქი, რომელიც თბილისს შემდეგ მთელს კავკასიაში ბაქოსთან ერთად თითქმის მეორე ქალაქად ითვლება და რომელსაც მომავალში ოდესობასა ჰპირდებიან.

თითონ ბათუმის მცხოვრებნი დაუკვირდენ ამ თავიანთ სამძიმო მდგომარეობას და მოიწადინეს კრედიტის მოპოვება, ურომლოდაც ნება-უნებურად ამ ქალაქის ზრდა უნდა შეჩერდეს. ორის მხრივ იზრუნეს მათ ამ საგანზედ: ცალკე მთავრობასა სთხოვეს, რომ ამ ქალაქში დაწესდეს სახელმწიფო ბანკის განყოფილება, რომელიც ვექსელებს მაინც გაუხსნის პირადს კრედიტს; ცალკე რამდენიმე პირისაგან ხელ-მოწერილი ქაღალდი წარადგინეს თბილისის სადგილ-მამულო ბანკის გამგეობაში, რომლითაცა თხოულობენ, რომ ამ ბანკმა თავის მოქმედება ბათუმის მაზრაშიაც გაავრცელოს. რასაკვირველია, ბათუმის მაზრაზედ მოქმედების გავრცელება ნიშნავს მხოლოდ თითონ ბათუმზედ გავრცელე-

«დროების» ფელეტონი, იანვ. 29-ს

### ეთნოგრაფიული წერილები

აფხაზეთი

(წერილი მერვე *).

შემდგომ ქორწინების ცერემონიის დასრულებისა, ყმაწვილი ქალი გახდება წევრი თავის ქმრის სახლობისა და იწყებს მონაწილეობის მიღებას ყოველსავე საოჯახო საქმეში; მაგრამ ისე კი მოჰქმედობს, რომ არავინ გარეშეთაგანმა არა ნახოს მუშაკობის დროს. ამისათვის იგი წინა დღითვე საღამოთი ყველგან განკარგულებას მისცემს, ყველას თითო-თითოდ დაუნიშნავს საქმეს; ჰსცდილობს,—სტუმრები კარგად მიიღონ და მეცადინეობს, რომ იქცეოდეს თავის დედამთილისა და უფროსი რძლის სურვილისამებრ, თუ კი ისინი ჰყავს.

ყმაწვილი ცოლი არასოდეს არ დაჯდება თავის ქმრის მშობლების წინაშე, ცოტას ლაპარაკობს, ან სრულიად ჩუმად არის. სტუმრებს იშვიათად ეჩვენება და მხოლოდ მაშინ მიიღებს, როდესაც სახლში უფროსთაგანი არავინ დარჩება, მაგრამ არც მათთან დაჯდება და რაიმე მაღალს საგანზედ საუბრის გამართვასაც ერიდება.

ესმა-ხანუმ დილით ყველაზედ ადრე უნდა ადგეს ლოგინიდგან, ნახოს, ყოველივე წესიერად არის, თუ არა და შემდგომ მივიდეს თავის საკუთარს საპირფარეშო სტოლთან. თავის დღეში თავის-თავს ნებას არ მისცემს, რომ ქმარს ტან ჩაუცმელი ეჩვენოს, ან სად უნდა შეხვდეს ქმარი მას ამ სახით, როდესაც ესმა-ხანუმ ყველაზე გვიან უნდა დაწვეს და დილით ყველას ასწროს.

ყმაწვილი ცოლი თავის ქმარს უვლის როგორც კი შეუძლიან. მორჩილებს ესიყვარულება, მშვიდობიანად და ყურადღებით ექცევა, მაგრამ ვერ ითმენს იმის ამაყობასა და თავხედობას. თუ ქმრის უგვანობა და სიამაყე ზომას გადავიდა, მაშინ ცოლი დაუტევებს თავის ქმარს, თან წაიღებს მზითევს და თავის მოსამსახურეებსაც წაიყვანს. წავა იგი თავის მშობლებთან, ანუ ძიძასთან და იქიდგან თხოულობს გაშორებასა და უზრუნველ-ყოფას. ქალს გამოესარჩლებიან ყველა მისნი მონათესავენი, მცნობნი და გამზრდელნი, და თუ სრულად არ დააკმაყოფილა ქმარმა შეურაცხყოფილი ცოლი, მაშინ მისნი მოსარჩლენი ჯავრსა ჰყრილობენ ხოცვით, ცეცხლის წაკიდებით, ერთის სიტყვით იმით, რაც კი კანონადა აქვთ დადებული.

ამ გვარს შემთხვევაში დედა-კაცი თამამად მიდის საერო სასამართლოში, იცავს თავის-თავს და ხშირად საკვირველადა სძლევს მოპირდაპირესა. მას არ ეშინიან არც ცილის წამებისა, არც სხვა კაცთან შეწამებისა. იგი მოახერხებს უარის-ყოფას ბრალდებისას და მტკიცედ დადგება თავის სიტყვაზედ. ამ შემთხვევაში მონათესავენი და მცნობნი დაჰყვებიან მას მოწმებად. სასამართლო თავის მხრით დიდის ყურადღებით ისმენს ქალის საჩივარს და მძიმედ ახდევინებს ქმარს, თუ მართლა იგი დამნაშავე აღმოჩნდა.

სწორედ სასიამოვნო სანახავია ქორწინების საქმის გარჩევა აფხაზთა შორის. სხვა დროს ჩუმი დედა-კაცი, ეხლა თამამად ლაპარაკობს, და ლაპარაკობს მშვენიერის ლექსით. დამტკიცებითი საბუთები წყაროს მსგავსად გადმოსდის ბაგიდამ. სადღაა მისი სიწყნარე, სადღაა მისი პატივისცემა ქმრისადმი: იგი ეხლა დიდად მოსჩანს, თვალებში შურის გების ცეცხლი ეგზნება. ჯიბეში დამალული აქვს დანა, სამართებელი, ან დამბაჩა და, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ მსაჯულთა არ მოუსმინონ საჩივარი ბოლომდის. ის თხოულობს სამართლიანს კმაყოფილებას და არა შებრალებას, და თუ სასამართლომ დაადგინა ნამდვილი და ჭეშმარიტი განჩინება, თუნდ იმის სასარგებლოდაც არ იყოს, სიმართლის წინაშე მოიდრეკს იგი თავსა.

***

ესმა-ხანუმმა მალე შეიძინა ყველას სიყვარული, თითქმის მთელის სოფლისა. ყველანი მიდიან მასთან და ჰსთხოვენ შემწეობასა და მფარველობას, ყოველს შეწევნაზედ იგი მზად არის და საჩუქრებსაც არა ჰზოგავს. აგრეთვე, საჭიროების დროს, შუამდგომლობს კიდეც თავის ქმართან და დედამთილ-მამამთილთანაც.

სასიამოვნოა იმისი ყურება. თმები სუფთად დავარცხნილი აქვს და უკან გრძელ ნაწნავებად გადაყრილი, თვალები ალერსიანი, მიმოსვლა სატრფიალო, საუბარი ყველასთან ტკბილი და საამო.

ძიძა და იმისი შვილები ხშირად მიდიან ყმაწვილის ქალის სანახავად. მნახველების მოსვლის დროს დიდსა და პატარას ფეხზედ აუდგება, ხოლო მნახველნი, მიუახლოვდებიან და მარჯვენა ხელს თავს შემოუვლებენ ნიშნად იმისა, რომ იგინი მზად არიან მისთვის თავები გაიწირონ. შემდგომ აკოცებენ ან მხარზედ, ან გულზედ და არა პირზედ. მამა-კაცნი ნახვის დროს არ აკოცებენ დედა-კაცებს, მხოლოდ თუ ნახვენ თავიანთზედ უფროსს

*) იხილე „დროება“ № 20.

ზას, რადგან მათ მაზრაში ჯერ სრულიად გამოურკვეველია მამულების საქმე და მიწის მხომავის ხელი არსად არ მიჰკარებია. მაგრამ, ბანკის გამგეობას არ დაუნიხავს შესაძლებელად, ბათუმზედ მაინც გაავრცელოს თავის მოქმედება იმ დრომდე, ვიდრე მთავრობა თავდებად არ დადგება და არ იკისრებს იმ ზარალს, რაც შეიძლება მოუვიდეთ ბათუმის მცხოვრებლებს, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა. როგორც შევიტყეთ, მთავრობა ამ გვარ პასუხისგებას არა ჰკისრულობს და, რასაკვირველია, ბანკიც ვერ იკისრებს, ფული გასცეს იმ სასახლეებზედ, რომელნიც შავის ზღვის ნაპირას გამოჰიმულან და შეიძლება, უცხო-ქვეყნელთა ჯავშნიან გემების მიზნად გადაიქცენ.

ამის სამაგიეროდ, დიდის ცდის შემდეგ, მთავრობა დაჰპირებია ბათუმელებს სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნას, რომელიც, უეჭველია, ცოტა შეღავათს მაინც მისცემს მათს შევიწროებულს მდგომარეობას.

## შინაური ქრონიკა

═ ზორის ახალი ხიდი თურმე დიდს ზარალს აძლევს მეტივეებს, მეტადრე წყალ-დიდობის დროს. ერთი მისი ბურჯთაგანი იმისთანა ადგილას არის მოქცეული, რომ მტკვარი უეჭველად ზედ აჯახებს ტივს, თუ მეტივემ მეტის-მეტი სიმარჯვე და ღონე არ გამოიჩინა და, რასაკვირველია, კარგს არას დააყრის. მალე წყალ-დიდობა დაიწყობა და აუცილებლად საჭიროა, ეხლა მაინც მიაქციონ ყურადღება ამ ბედკრულს ბურჯს, რომელიც ჩვენის მეტივეებისათვის სწორედ სცილადა და ხარიბდად გადაქცეულა, თორემ, თუ როგორმე არ მოახერხეს და ამ ბურჯს არ ააცდინეს მტკვრის უმთავრესი მიმდინარეობა, გაზაფხულზედ ბევრს მეტივეს იმსხვერპლებს იგი.

═ ჩვენ შევიტყეთ, რომ მომავალს აპრილს ბათუმში გაიხსნება სახელმწიფო ბანკის განყოფილება.

═ ერევნის ბამბას თავისის ღირსებით მოსკოველ მეჭაბრიკეთა ყურადღება მიუქცევია, ასე რომ ხივისა და ბუხარის ბამბაზე უფრო მეტს ფასს თურმე ერევნისაში იძლევიან. ერთი პეტერბურგელი გაზეთი ამბობს, კარგი იქნება, მმართებლობა წააქეზებდეს ერევნელებს ბამბის მოყვანაშიო.

═ ჩვენ მივიღეთ რუსულად დაბეჭდილი ბ-ნი ნიკ. ბამრეკელის კრიტიკული მიმოხილვა—საბა ორბელიანი და მისი ქართული ლექსიკონი («Саба Орбеліани и его грузинскій лексиконъ. Крит. очеркъ Н. Гамрекели.») ავტორის ნდომებია დაემტკიცებინა, რომ სიტყვა „ლექსიკონი“ წარმოსდგა ქართული სიტყვების—ლექსის და კონას შეერთებისაგან და რომ ეს ქართული ტერმინი შემდეგ სხვა ხალხებმა მიიღეს. თხზულება ერთობ მძიმე და კანცელიარიულის ენით არის დაწერილი, შესდგება 30 გვერდისაგან და ღირს ხუთი შაური.

═ ალექსანდროპოლიდან გვწერენ: «ამ თვის 21-ს აქაურ სატუსაღოდგან გაიქცა 23 წლის ახალ-გაზრდა ტყვე, რომელსაც რვა წლის კატორგა ჰქონდა გადაწყვეტილი. ტუსაღის გაქცევა მხოლოდ მეორე დღეს გაუგიათ, რადგანაცოა, იწერება ავტორი ამ ცნობისა, ტუსაღის გაქცევის დღე „ოცი რიცხვი“ იყო და ზ. ზედამხედველმა საპყრობილისამ წესისამებრ ჯამაგირი ამ დღეს მიიღო...»

═ «მუშტის-უფლება» ყველა გონიერ კაცისაგან ეხლანდელ დროში ითვლება სამარცხვინო უფლებად, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრნი არიან იმისთანა «გმირნი», რომელნიც მას ხმარობენ არა თუ თანასწორ მოპირდაპირეზე, არამედ მშვენიერ სქესის უძლურ არსებებზედაც კი. ამისთანა გარემოების შემაძრწუნებელი აღწერა მივიღეთ ქუთაისიდგან ერთის ქალის წერილსაგან, რომელიც მსხვერპლი შექმნილა იქაურს საზოგადოებაში მრავალ-გვარის თვისებებით კარგად ცნობილის ნ. ნ. ქ—ძისა. აი, თვით ეს აღწერაც:

«გუვერნანტკის მდგომარეობა ერთობ კარგად არის ცნობილი, განსაკუთრებით იმ გუვერნანტკისა, რომელსაც არა ჰყავს არც ქმარი, არც ძმა, არც სხვა ვინმე პატრონი ერთის სიტყვით იმისთანა მფარველი, რომელსაც შეეძლოს მისი დაცვა ამ გვარ ვაჟ-ბატონთაგან. მე მოგახსენებთ ნ. ნ. ქ—ძისაგან ჩემთან მოპყრობაზე. ეს ვაჟ-ბატონი ხელობით ადვოკატი გახლავსთ და როდესაც დაინახა, რომ მისმა მჭევრ-მეტყველებამ ჩემზე ვერ გასჭრა, ჯერ უწმაწურის სიტყვით ლანძღვა-გინება დამიწყო და მერმე მცემა კიდეც. ნ. ქ—ძემ კარგად იცოდა, რომ მისს წინ იდგა ფიზიკურად სუსტი არსება, რომელიც მას ამ სიმხეცის სამაგიეროს ვერ გადუხდიდა...»

═ „ს. პეტერბურგის უწყებაში“ სწერია, ვითომც აპირებენ რუსეთიდგან გეოლოგების გამოგზავნას კავკასიაში ნავთის გოგირდის მადნის გამოსაკვლევლად.

═ ჩვენი გაზეთის მკითხველებს ეხსომებათ ელიზავეტპოლის გუბერნიაში მეფოფის ცხენის-დეპოს გამგებლის მკვლელობის საქმე. თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგმა წინადადება მისცა ელიზავეტპოლის ოლქის სასამართლოს, რომ სამართალში მიეცეთ მაზრის უფროსად ნამყოფი ყანჩელი და პოლიციის ჩინები ისპანდიერ-ბეგი და რუსტამ-ბეგ რუსტამბეგოვები. ეხლა, „ნოვოე ობოზ.“ სიტყვით ოლქის სასამართლოს გადაუწყვეტია მოხსენებულთ პირთა სამართალში მიცემა ბოროტ-მოქმედების დაფარვისათვის.

═ გაზ. „ნოვოე ობოზ.“ გაუგონია, რომ წრეულს შემოდგომაზე ვერ მოხერხდა და გადაიდვა დროს დაუნიშნველად სამეურნეო გამოფენა, რადგანაც „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას“ ამისთვის საჭირო თავისუფალი თანხა შემოელევა.

═ „რუსსკი კურიერს“ სწერენ თბილისიდან, აქაურს გავლენის მქონე წრეებში ჰფიქრობენო, რომ კავკასიაში ხალხის სამხედროდ გაწვევა, ანუ, როგორც

---

და თან დაახლოებულ პირთა, მაგალითებრ თავიანთ გამზრდელთ, მაშინ პირველად, მშვიდობას ეტყვიან და შემდგომ გულზედ აკოცებენ.

პირველს წელიწადს მცნობნი მიართმევენ ძღვენს ყმაწვილს თავადსა და იმის ცოლს. ქრისტეს-შობის დღეს და აღდგომას უფრო მეტს ძღვენს მიუტანებენ. ამ დღესასწაულებს, როგორც მრავალ სხვათა, აფხაზები შეეგებებიან პატივისცემით. შობას მიართმევენ თავიანთ გაზრდილებს გასუქებულ ყვერულებს, ხოლო აღდგომას კრავებს, თიკნებს და წითლად შეღებილს კვერცხებს. თავიანთ მხრით თავადი და იმის ცოლი მათ უხვად დაასაჩუქრებენ.

თუმცა ჩვეულება ერთი ერთმანეთის ჩუქებისა ძლიერ გავრცელებულია აფხაზებში, მაგრამ იგინი განსაკუთრებით სიძულვილით უყურებენ გლახაკებს. მართლაც, მთელს აფხაზეთში ვერა ნახავთ გლახაკსა და მათხოვარსა. ვინიცობაა, თუ რომელსამე ოჯახში იპოება ბუნებისაგან დამახინჯებული კაცი, უეჭველად ასწავლიან რაიმე ხელობას და მით მოაპოვნინებენ დღიურს საზრდოს. აფხაზნი იმოდენად ამპარტავანნი და მედიდურნი არიან, რომ სიკვდილად მიაჩნიათ ნივთიერად ვისგანმე დამოკიდებულნი იყვნენ.

აფხაზი არასოდეს არ წავა დღიურ სამუშაოდ.

— ზანა მე გლახაკი ვარ, რომ მოჯამაგირედ წავიდე, მოგიგებს აფხაზი, როდესაც წინადადებას მისცემ დღიურის სამუშაოთი პურის მოპოვებისას.

თათრებსა და მეკრელებს თავიანთ შრომითა და ვაჭრობით გავლენა არა ჰქონიათ აფხაზებზედ. აფხაზები არასოდეს არ მოჰკიდებდენ ხელს ვაჭრობას. და ეხლა, თუ ნახავთ კიდევ აფხაზთა შორის ვაჭართ, უმეტესად მაღალს წოდებაში, ვიდრე გლეხობაში.

აფხაზი დიდხანსა თაკილობდა საზრდოს გაყიდვას ფულზედ.

— წაიღე ახლა, რაც გეჭირვება, დრო იქნება, მეც დამჭირდეს რამე, და მაშინ შემეწიე. აი, რას ეტყოდენ ხოლმე ერთმანეთს აფხაზები. მაგრამ შემდგომ ცოტ-ცოტათი წაჰხედეს მოსულთა მაგალითსა და იწყეს გაყიდვა თავიანთ მიწის ნაყოფისა.

შეკრება კაკლისა და ხილისა აფხაზებს დიდ სირცხვილად მიაჩნდათ. აგრეთვე არ ეკარებოდენ თევზაობას, მაშინ როდესაც აფხაზეთის მდინარეები თევზით სავსეა. მხოლოდ ერთში ეხლაც მტკიცედა ჰსდგანან იგინი: მოსული ხალხის სიმთვრალეს არასოდეს არა ბაძვენ და არც ეჩვევიან.

***

ყმაწვილი ცოლის ესმა-ხანუმის სახლობაში მოხდა დიდად სამწუხარო ვაება. ბუნების სჯულისამებრ, მოხუცი დედამთილი მისი ჩიჩ გარდაიცვალა. ამ ამბავმა მოუკლა გული მთელს მის სახლობას: მამა კაცნი გულსა და პირზედ ხელს იცემენ, გარეტიანებულნი თავ-შიშველნი დაიარებიან და მწარედ ცრემლს აფრქვევენ; დედა-კაცები იგლეჯენ თავზედ თმასა, იკაწრენ გულსა და პირის კანსა და სისხლი უხვად გადმოსდით; ზოგჯერ გამწარებულნი თავს კედელს ახლიან.

მონათესავენი, მეგობარნი და მცნობნი, პატივისცემისათვის მიცვალებულის მოხუცისა, მოვლენ ყოველის მხრით განსვენებულის ქმართან, თავადს ჩიჩილბეგთან და, ჩვეულებისამებრ, მოუტანენ ზოგი ფულს, ზოგი ღვინოს, ზოგი ცხენსა და ძროხასა, მაგრამ ამასთანავე ყველა მოსულნი უნდა დაჰპატიჟოს და ღამე გაათევინოს. თუ ამისთანა შეწევნა არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა შესაბამი პატივის ცემა ამოდენა ხალხისა. ხალხისათვის საზოგადო სუფრა გაიმართება გადახურულს ქვეშ, ხოლო დედა-კაცნი და მაღალი წოდება სახლში სჭამენ პურსა.

თუმცა მოხუცებულის კაცის სიკვდილს აფხაზები ისე ძლიერ არ ჰსტირიან, როგორც უდროოდ გადაცვალებულისას, მაგრამ ესმა-ხანუმის დედამთილზედ ტირილი ხუთიდამ ათ დღემდე გაგრძელდება.

როდესაც მიახლოვდებიან მიცვალებულის სახლსა, მონათესავენი და ნაცნობნი ატყობინებენ თავიანთ მოსვლას საშინელის ყვირილითა და თავ-პირზედ ცემით. მიცვალებულის სახლიდამაც ამ გვარისავე სახით უპასუხებენ; სტირიან რიგ-რიგით დედაკაცები, რომელნიც კუბოს ორსავე მხარეს შემოხვევიან. რამდენსაც დაუახლოვდებიან მიცვალებულის სახლსა, იმდენი უფრო გაძლიერდება ყვირილი და ბოლოს მწარე გოდებად გადაიქცევა. შევლენ სახლში, მიესალმებიან მიცვალებულს, შემოეხვევიან კუბოს, შუბლსა ჰსცემენ მას და თითქმის თხუთმეტის წამის განმავლობაში უხვად აფრქვევენ ცრემლსა.

კოწია მაჭავარიანი.

(გაგრძელება შემდეგ)

ჩვენში ქმნიან, სალდათად გვყვანს წრეულსავე შეუდგებიანო.

— იანვრის 25-ს თბილისში ჩამოვიდა ქალაქის გამგეობისაგან მოწვეული გიდრავლიკი ბატ. მასკლე, რომელმაც უნდა გამოიყვანოს წყალი ავჭალიდგან ქალაქში. ჩამოსვლის მეორე დღესვე მასკლემ დაათვალიერა ავჭალის წყაროები. („ნოვ. ობოზ.“)

## რუსეთი

ამა წლის მომავალის ივლისის 1-ლამ განზრახვაა შეამცირონ რიცხვი რუსეთის სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და უწყებათა მოსამსახურე პირებისა, რომელნიც საკაზინო სადგომებში დგანან, ქირის გადაუხდელად.

რუსეთის სამხედრო უწყება აქედამვე შეუდგა იმ ზომებისა და საშუალებათა გამოკვლევას, რომელთა შემწეობით შესაძლო იქმნება ბრძოლა სამერმისოდ რუსეთშიაც მოსალოდნელ ხოლერასთან. ამ ზომათა აღმოსაჩენად დაარსდა ცალკე კომისია, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ის ღონისძიებანი, რომელნიც გასულს წელში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გამოიკვლიეს ამ სენთან საბრძოლველად. კომისიამ საჭიროდ სცნო: ა) აქედამვე დამზადდეს ყოველი მოუცილებელი მოწყობილობა ლაზარეთებისათვის, როგორც მაგალითად: საბანებელნი, ქურქლები წყალის გასათბობად, ჰაერის გასაწმენდი მოწყობილობანი, სულემა, კარბოლი და სხვ. ბ) ყოველი ზემოდ მოხსენებული უნდა შემოღებულ იქმნეს როგორც ყველა სამხედრო ლაზარეთებსა და სამკურნალოებში, აგრეთვე თვით ჯარის სხვა-და-სხვა ნაწილებში. გ) თუ ვინიცობაა გაჩნდა ხოლერა, ყველა სამხედრო ექიმებს ავანსით მიეცეთ ათ-ათი თუმანი... ყველა ამ ღონის-ძიებათა მიღებისათვის გადადებული იქნება 637,000 მან. და ამ ჯამიდამ 145,000 მან. ეხლავე უნდა დაიხარჯოს სათადარიგო ზომების მისაღებად... ჩამოთვლილი მოსაზრებანი სამხედრო სამინისტრომ წარუდგინა სახელმწიფო რჩევას განსახილველად.

სამსჯავრო მსწრაფლი და მართალი!... ასს წელზე მეტია, რაც ყირიმის თათრები სჩივიან 15,000 დესეტ. ადგილს. დაახლოებით ეს სადავო ადგილი 3—5 მილ. მან. ღირება. საქმე დაწყებულა 1780 წ., როდესაც პატიომკინი თითქმის უფლობდა რუსეთში და ამ უფლობისავე ძალით მიუთვისებია ეს დიდი მამულიც. სახელმწიფო რჩევას სამჯერ განუხილავს ეს საქმე, სენატს ოთხჯერ და ამ უკანასკნელს ოთხჯერვე მომჩივანთათვის მიუსაჯებია სადაო მამული, მაგრამ იუსტიციის მინისტრი სენატის გადაწყვეტილებას არ დასთანხმებია. ამ მოკლეს ხანში ეს საქმე ხელ-ახლად უნდა განირჩესო.

ხელმწიფე იმპერატრიცის კანცელიარიასთან დაარსებული კომისია იხილავს ამ ჟამად იმ გადასახადს, რომელიც განზრახვაა დაიდოს მუსიკალურ-თეატრალურ-გამართობელ წარმოდგენებისა და სხვა-და-სხვა საღამოების შემოსავალზე. როგორც წინადადებაა, გადასახადი უნდა დაიდოს მანათად და მანათზე ზევით ღირებულს ბილეთებზე და რაოდენობა გადასახადისა ყოველს ბილეთზე იქმნება აღნიშნული.

მთავრობა აჩქარებს ადგილობრივ ეპარქიალურ მზრუნველ საზოგადოებათა დაარსებას, რომლითაც დიდი შემწეობა მიეცემათ ეკლესიებსა და კრებულთა, ზიანს აცდენს თვით სამღვდელოების ვითარებასა და დააკმაყოფილებს ბევრის მხრით ეპარქიალურ მოთხოვნილებათა. საზოგადოებაში დაიზღვევიან როგორც ეკლესიანი, აგრეთვე ყოველივე სამკაული და ქონება ეკლესიური და სამღვდელოებისა.

## უცხოეთი

საფრანგეთი. საფრანგეთის ჯარი ტონკინში ამ ჟამად შესდგება 40,000 მეომარისაგან. ამას გარდა მარტის გასულისათვის ტონკინის ზღვის ჯარის უფროსის ადმირალ კურბეს განკარგულებას ქვეშ იქმნება ოცდა-თხუთმეტი საგანგებოდ დაიარაღებული გემი 7,000 მეომრით.

რესპუბლიკურმა დასმა შესანიშნავად გაიმარჯვა სენატის ამორჩევებში. სენატი შესდგება 233 რესპუბლიკელებისა და 67 კონსერვატორ — ბონაპარტისტებისა ანუ როიალისტებისაგან. ასე რომ ამიერიდამ 72 დეპარტამენტს რესპუბლიკელი წარმომადგენელნი ეყოლებათ სენატში და 15-ს კი კონსერვატორები.

ინგლისი. ლონდონის პოლიცია განსაკუთრებით თვალ-ყურს ადევნებს ირლანდიიდამ მოსულებს. მთავრობას მიუღია უსახელო წერილი, სადაც აწერილია თურმე სრული პლანები მოდინამიტეთა და ჩამოთვლილია ნიშნეულება შეთქმულობის მეთაურებისა. პარიჟელ გაზეთს „Temps“-ს ტელეგრამით სწერენ ლონდონიდამ, რომ პოლიციამ უკვე მიაგნო უკანასკნელის აფეთქებათა მომხდენთ კვალსაო. სასტიკს მხედველობის ქვეშ არიან აუარებელნი პირნი, რომელთაც აბრალებენ ამ აფეთქებათაო... ძალიან საყურადღებო ჩვენება მოუცია ვინმე ირლანდიელს, სახელად ჟილბერს, რომელიც 13-ს ვესტმინსტერში და ტოუერში აფეთქების დღეს დაიჭირეს. — ერთი ირლანდიელი სერიოზული გაზეთი ცხარე წერილებით ჰკიცხავს უკანასკნელ აფეთქებათა ჩამდენთ ლონდონში და გამოსთქვამს სურვილს, რომ დამნაშავენი შეპყრობილ იქმნენ.

ამერიკის შეერთებული შტატები. სენატს განუხილავს ბილი იმ დამნაშავეთა დასჯაზე, რომელნიც თავიანთ ბოროტ-განზრახვის აღსასრულებლად ასაფეთქ მასალათა ხმარობენ. ეს წინადადება გადაეცა საკუთრივ ამ საქმისათვის დაარსებულ კომისიას შესამუშავებლად. წინადადება ამბობს: ყოველი პირი, რომელიც შეერთებულ შტატებში მოამზადებს, იყიდის ან გაჰყიდის ასაფეთქ მასალათა, იმ განზრახვით, რომ მოიხმაროს ეს მასალა ან შეერთებულს შტატებში და ან სხვა რომელსამე ქვეყანაში სახელმწიფოსა და კერძო პირის საკუთრების დასამხობად; პირი, რომელიც ბოროტ-განიზრახავს თვით კერძო პირის წინაამდეგ შტატებში ან სხვა რომელსამე ქვეყანაში — სამართლით დაისჯებაო. ბილში მოხსენებულია აგრეთვე, რომ დამნაშავეთა დაგვარად დაისჯება ის პირიც, რომელიც წააქეზებს ვისმე ამ გვარს საქმეზე.

ავსტრო-ვენგრია. ამგვარივე წინადადება შეიმუშავა ავსტრიის რეიხსრატმა და აგრეთვე გადასცა ცალკე კომისიას. როდესაც რეიხსრატში ირჩეოდა ეს საგანი—ერთმა დეპუტატმა განაცხადა ავსტრიაში ამ ჟამად 14 ქარხანაა, სადაც მზადდება სხვა-და-სხვა გვარის დინამიტიო. დეპუტატმა განაცხადა, რომ ეს რიცხვი ქარხნებისა აღემატება დინამიტის მოთხოვნილებასა და ითხოვდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ საგანს.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

იანვრის 26-ს

ხარკოვი. იარმუკა გათავდა. მეტად ცუდი შედეგი ჰქონდა. ვალი არ გადახდილა 25% მეტი. ბანკები ვერ ასდიან თამასუქებზე ფულის მომთხოვნელთ. ნდობა (კრედიტი) გაძნელდა. ბევრის გაკოტრებას მოელიან.

ჰალე. დღეს აქ თავი მოჰკვეთეს რეინსდორფსა და კიუხლერს, რომელნიც მთავარნი მონაწილენი იყვნენ ნიდერვალდის შეთქმულებაში.

ხანოი. თებერვლის ხუთს (ახალი სტილით) ფრანცუზებმა იერიშით აიღეს ჩინელების გამაგრებული ბანაკი ლანგსონთან, რომელიც ორი დღის გზის სიშორეზეა ჩინეთის სამზღვრიდან. ჩინელებმა უკან დაიწიეს. ფრანცუზების ზარალი მცირეა. თებერვლის პირველს ჩინელებმა იერიში მიიტანეს ფრანცუზების პოზიციებზე ფორმოზის კუნძულზე. ჩინელებს მოუკვდათ 200 კაცი, მათ შორის რამდენიმე მანდარინი და ერთი ევროპიელი აფიცერი; ფრანცუზებს-კი ერთი მოუკლეს და ერთიც დაუჭრეს.

სტამბოლი. სტამბოლის სომეხთ პატრიარქად აირჩიეს არზრუმის მიტროპოლიტი ხარატიენი.

იანვრის 27-ს.

პეტერბურგი. გამოცხადდა შემდეგი უმაღლესი ბძანება უმართებულეს სენატის მიმართ: „წინაპარმან ჩვენმან, იმპერატორმა პავლე I-მან 1797 წლის აპრილის 5-ს, სახელმწიფო სარგებლობისათვის ზრუნვის გამო დაადგინა ტახტის მემკვიდრეობის წესი და განარკვია საიმპერატორო გვარის წევრთა უფლება. აწ ვსცანით რა სასარგებლოდ დაგვედგინა მოსალოდნელ დგმათათვის თავ და-პირველის წესის ზოგიერთა ცვლილებანი, ვბრძანებთ: ა) დიდ მთავრებად და იმპერატორებითი უმაღლესობად შერაცხილ იქმნან შვილები, ძმები, ქალები, დები და აგრეთვე შვილის-შვილნი იმპერატორების პირ-და-პირის მამრობითის შტოისა; იმპერატორების ის შვილის-შვილის შვილებიკი, რომელნიც მამრობითის შტოიდან წარმოსდგებიან, შერაცხილ იქმნან მხოლოდ უმაღლესობად და საიმპერატორო სისხლის თავადებად; ბ) შეუდგენ ჩვენის ხელ-მძღვანელობით და ჩვენის ჩვენების თანახმად გადახედვას იმ დადგენილობისას საიმპერატორო გვარზე, რომელიც დაწესდა 1797 წ. აპრილის 5-ს. ამ საგნისათვის უნდა დაინიშნოს ცალკე კომისია.

რომი. მანჩინიმ უარი სთქვა ინგლისისა და იტალიის შეთანხმების გამო პასუხის მიგებაზე. სამხედრო წრეებში ლაპარაკობენ ოცი დღის შემდეგ 15,000 ჯარის გაგზავნაზე მასოვისა და სუაკიმის მხრივ მოქმედებისათვის.

მადერა. პორტუგალიელებისაგან კონგოს შესართავების დაჭერა ტყუილი გამოდგა. პორტუგალიის ესკადრას-კი უნდოდა ეს მოეხდინა, მაგრამ ინგლისელების მხნე პროტესტის შემდეგ გაშორდა ამ ადგილს.

ლონდონი. თუ აღმოჩნდა, რომ გორდონი მოუკლავსთ, მმართებლობა მიანდობს უელსლეის სუდანის აჯანყების დაშოშმინებამდის ომის გაგრძელებას.

პარიჟი. გუშინ პოლიციამ დაიჭირა ოცამდე ანარხისტი იმისთანა სიტყვების წარმოთქმისათვის,

რომლებშიაც საცარცვავად იწვევდენ ხალხს.

იანვრის 28-ს.

**პეტერბურგი.** გაზეთები ამბობენ; კახანოვის კომისია იმ აზრს დაადგა, რომ ყოველ მაზრაში კოლეგიური დაწესებულება დაფუძნდეს, რომელშიაც მთელის მაზრის გამგეობა, ერთად მოთავსდეს.

**ლიბავა.** სახელმწიფო რჩევამ დაამტკიცა პროექტი ლიბავის ნავთსადგურის გაფართოებისა.

## ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრამიშვილი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი,** ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა,** სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი,** ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა,** სამშაბათობით.

**ბაბინოვისა,** ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა,** ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
ც საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

ვუცხადებ იმ პირს, რომელმაც კალოში გამოსცვალა ქართულს თეატრში კვირას 27 იანვარს, თეატრის კასაში მოიტანოს ეს ცალი კალოში და თავისი დაიბრუნოს. დატოვებულს კალოშს შიგნიდან წითელი ნომერი აკრავს. (1—1)

**UN FRANÇAIS**

Professeur de langue et de littérature françaises désire donner des leçons.

S'adresser: Librairie Boerenstamm (10—3)

ამა 1885 წლის იანვრის 24 რიცხვიდან

## ქ. ფოთში

ვალებ საკომისიო კანტორას და ვღებულობ ყოველ-გვარ საქონელს გასაგზავნად და გასასყიდად კომისიით. იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება მომმართავს და დარჩება კიდეც ჩემგან ყოველის მხრით კმაყოფილი.

მეორე გილდიის ვაჭარი

**სპირიდონ ზაქარიას ძე ხვიჩია.** (3—2)

### ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | | მოსკოვის ჩაის | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1 მ. 10 კ. | | | 1 მ. 40 კ. |
| — | — | 1—20 | — | — | 1—60 |
| — | — | 1—40 | — | — | 1—80 |
| — | — | 1—60 | — | — | 2— ,, |
| — | — | 1—80 | — | 2 | — 50 |
| საუკეთესო | | 2— ,, | — | 3 | — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკაწინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—64)

გამოვიდა და ისყიდება

ზღაპრული პოემა გ. წერეთლისა

# ლოთ-პასი

გამოცემა «ნობათის»-ს რედაქციისა, ვენაში და პეტერბურღში ცინკოგრაფიით დამზადებულის სურათებით. ფასი ყველგან სამი აბაზი.

**ისყიდება:** თბილისში — «ნობათის» ს რედაქციაში, ზ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ვ. შავერდოვის სააგენტოში და ქუთაისში — ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზიაში. გორში — ს. მგალობლიშვილისას. თელავში — ივ. როსტომაშვილისას. ბათუმში — მოსე ნათაძისას.

ვინც პირ-და პირ «ნობათის»-ს რედაქციიდამ ათს ეგზემპლიარს დაიბარებს, წიგნი ეღირება ათი შაური. (10—5)

SOCIÉTÉ FRANÇAISE DE BIENFAISANCE

# BAL

Paré et costumé

Donné le lundi, 4 fevrier dans la salle du Kroujok au profit des pauvres de Tiflis et de la Caisse de la société française de Bienfaisance.

Prix d'entrée

Dames: — — — 2 roubles
Cavaliers — — — 3 roubles

On trouve des billets à la caisse du Kroujok et dans tous les magasins français.

ფრანცუზების საქველმოქმედო საზოგადოება

# ბალი

კოსტიუმებით

გამართული იქნება ორშაბათს, თებერვლის 4-ს კრუჟოკის ზალაში თბილისის ღარიბებისა და ფრანცუზების საქველმოქმედო საზოგადოების კასის სასარგებლოდ.

ფასი ბილეთებისა:

ქალებისათვის — — 2 მანათი
კავალერებისათვის — 3 მანათი.

ბილეთების ყიდვა შეიძლება კრუჟოკის კასაში და ყველა ფრანცუზების მაღაზიებში. (5—1)

საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსწორმასწორო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზიი. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები უოგელის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმენდად (ბორაქსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შნოტკები, თავისა, ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

**პატაუკი**—20 კ. (100—33)

გამოვიდა და ისყიდება

# ელისო

მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. ყაზბეგისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნის ქუჩის სათეატრო კასაში ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობლოვთან; თელავში: ბატ. ვ. როსტომაშვილთან.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი:

**ელგუჯა,** ისტორიული მოთხრობა.

**არსენა,** დრამა 3-ს მოქმედებად. ღილა ქორწილის შემდეგ, ვოდ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის" პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—15)

Доз. ценз. Тифлисъ, 28 Января 1885 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი